№ 24 (1322) დეკემბერი 1969

ნიანგი

გამოცემის 46-ე წელი ფასი 20 კაპ.

ნახ. ჯ. ლოლუასი

— მოიცა, თუ კაცი ხარ! მაგ ნაგავს ეს ტელეფონიც გააყოლე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

(წინასაახალწლო მონოლოგი)

როდესაც ახალი წელი შემოაბიჯებს, მე, შესაძლოა, უკვე ცოცხლებშიც აღარ ვიყო. ზუსტად 12 საათსა და 00 წუთზე ადგილობრივი დროით შესაძლოა, ჩემი ნათელი შუბლი დაემხოს პირში ბოლოკგაჩრილი გოჭის თავის გვერდით.

არ იფიქროთ, თვითმკვლელობით ვამთავრებდე საყვარელ სიცოცხლეს, ან ბნელი ტერორის უმანკო მსხვერპლი ვიყო. ნურც ყველასათვის სავალდებულოდ მოსახდელ ინფარქტზე აიღებთ ეჭვს. მე დავეცემი მეზობლის ბრმა ტყვიით გულგანგმირული და ეს ისევე გარდაუვალი იქნება, როგორც თვით ახალი წლის შემობრძანება.

დიახ, ზუსტად 12 საათსა და 00 წუთზე, როდესაც ყოველი შეიარაღებული ქართველის ციხე-კოშკიდან გადმოეფინება სხვადასხვა სისტემის ნაგანისა და თოფის ლულები, როდესაც წლიდან წლამდე ბოღმასავით დაგუბებული ბათქაბუთქი შესძრავს მიდამოს, ერთი ბრმა ტყვია, ალბათ, ჩემი გულისკენაც მონახავს გზას. მე იმის მადლობელიც ვარ, აქამდის ცოცხლად რომ მოვაღწიე.

გთხოვთ, ნუ დაიწყება უსაფუძვლო კვლევა-ძიება! არავის ჩემი მტრობა არ ჰქონია .ეს, ალბათ, ბედისწერის მკაცრი ხელით იქნება დაწერილი, ნამდვილი ქართველი კი კარზე მომდგარ ბედს გარდერობის უკან დამალული ვერ შეხვდება. მე მივაშურებ ბრძოლის მოწინავე ხაზს — აივანს, ავხედავ ტყვიების ცეცხლით განათებულ თბილისის ცას, გადავიღელავ დაჭრილ მკერდს და დაცემისას ომახიანად შევძახებ: მ ე ზ ო ბ ლ ე ბ ო, მ ე თ ქ ვ ე ნ მ ი ყ ვ ა რ დ ი თ!

ჰარი ჰარალი

საახალწლო წვიპურტები

კავშირგაბმულობის მუშაკებს

თქვენთან არავინ გვენახოს
მოსული ნერვებაშლილი,
შარშან მიცემულ შეკვეთით
წელს მაინც შევძლოთ კავშირი.

როცა დავრეკავთ უჩასთან,
ნუ შეგვიერთებთ სტეფანეს,
ხუთ კაცს ერთ ხაზზე ნუ ჩაგვრთავთ,
ნუ გვალანძღვინებთ ერთმანეთს.

ძალზე სასწრაფო დეპეშებს
ველოდოთ ერთ დღეს, განა შვიდს...
ქორწილში დაპატიჟებულს,
ნუ გაგვაგზავნით პანაშვიდს!

საესტრადო გრიგადებს

თქვენი ცეკვა და სიმღერა
უცხო ხალხს გულებს უხარებს,
ეწვიეთ მოსკოვს, ლენინგრადს,
პრაღას, ვარშავას, ბუქარესტს...

გაცვიათ ევროპულად და
გხურავთ ჭრელ-ჭრელი სომბრერო,
ცეკვავთ „ტვისტს“, „შეიკს“, „ჩა-ჩა-ჩას“,
ფრანგულად მღერით „ორეროს“.

„ესპერანსათი“, „მამბოთი“
ხართ მსოფლიოში განთქმული...
გთხოვთ, ზოგჯერ რეპერტუარში
გამოურიოთ ქართულიც!

პარიკმახერებს

ხურდას როცა გთხოვთ, მოგვეცით,
ნუ გადიქცევით მთლად ვაჭრად!
არ გაბრაზდეთ და, თმის ნაცვლად,
გროშისთვის თავი არ წაგვჭრათ!

კრიჭა შეიკრათ, არ გირჩევთ,
დღეს სიკეთეზე ფიქრი სჯობს...
ისე გაგვპარსეთ, გაგვკრიჭეთ,
ჩვენზე არავინ იკრიჭოს!

ტაქსის მძღოლებს

„სსსიუ“-ს გიძახით, გაჩერდით,
ნუ შემოგვხედავთ ირიბად!
ზოგჯერ მრიცხველსაც დახედეთ,
სულ რომ ზეპირად იჯიბავთ!

ვანო ცინცაძე

გადაკეთებული ცნობილი სტროფები

კაცი ვარ და ქუდი მხურავს,
გადავურჩი „პ ა რ ა ლ ი ჩ ს“:
დავამტვრიე ტელეფონი,
(ჩემთვის იყო ზარალი).
არც არავის არ ვურეკავ,
არც მირეკავს არავინ!..

* * *

ვინა თქვა, თითქოს დაბალი იყოს
ბაზარში ნივრის, მწვანილის ფასი?..
თვალით ვინ ნახა ხახვი და კვერცხი?..
ვინ მიიტანა ლობიო სახლში?..

* * *

ყანწით რომ დამალევინე
ეგ ღვინო, შაქარტიალი,
შენ, მასპინძელო, მითხარი:
კაცი ხარ, ადამიანი?!.

* * *

არ აკლია ჩვენს რესტორნებს
სასმელები და მწვადები...
პურ-მარილი ტკბილი არის,
გადახდის დროს გამწარდების!..

* * *

ხელმძღვანელი შევიდოდა
კაბინეტსა თვისსა ვიდრე,
მთხოვნელს უთხრა: „ამხანაგო,
იყავ მანდა, მომიცდიდე!“
და უცადა საცოდავმა
იმ მთხოვნელმა ზუსტად შვიდ დღეს.
მერვე დღეს თქვა: „ვის მივმართო,
სად ვიჩივლო, სად წავიდე?“

* * *

ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ,
მთელ კვარტალში შუქი ქრება...
არც ხვეწნა სჭრის თ ე ლ ა ს ზ ე და
არც საჩივრით დამუქრება...

გადააკეთა ბათუ მელიამ

ᲓᲔᲑᲝ ᲨᲐᲤᲠᲔᲜᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

ნახ. მ. აბაშიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲒᲘᲡ მანძილზე არაკეთილმეზობლურად განწყობილ სახელმწიფოებს თვალი საქართველოსაკენ ეჭირათ. ისინი ძალღონეს არ იშურებდნენ და ყოველგვარ ხრიკებს ხმარობდნენ, რათა დაესუსტებინათ ქართველთა ძლიერება, ხელში ჩაეგდოთ მადლიანი ერის ბარაქიანი ველმინდვრები. სხვადასხვა ელჩების, დაქირავებული აგენტების, ვაჭარ-სოვდაგრების მეშვეობით საქართველოში ფარულად შემოჰქონდათ ანაშისა და ოპიუმის მომაკვდინებელი კონტრაბანდა. ამ საშინელი მომშხამველი იარაღის გავრცელებით სუსტი ნებისყოფის ახალგაზრდებს სიცოცხლის გზას უმცირებდნენ. მაშინ ობეხეესი და საგამომძიებლო ორგანოები არ არსებობდნენ, რომ კონტრაბანდისტებისათვის ჯერ ვანი პასუხი გაეცათ და ახალგაზრდები ეხსნათ ამ საშინელი ტანჯვა-წამებისაგან.

...სარგის თმოგველი, ჯალაბობით გარშემორტყმული, საახალწლოდ გაწყობილ მაგიდას უჯდა და წუთიწუთს ელოდა საზეიმო განკუთვნილი დაფდაფების ხმაურს. ამ დროს მას სტუმრად ეწვია სახელოვანი წინაპრების შთამომავალი, იმჟამად ოცდახუთ წელს გადაცილებული, მაგრამ უკვე დაბერებული შატბერი. იგი ოპიუმს ოპიუმზე აბოლებდა...

გთავაზობთ იმდროინდელი გამოჩენილი მწიგნობარ-მემატიანის — წყალობა თორნიკეს ძე მეუნარგია-ჩახრუხაძის ჩანაწერებს:

„და აჰა ესე რა გაისმა ჰუნთა ჭენებანი. მხედარ იყვნ მამისგან ქმნილი მისთა შვილთა ბაგრატთა გვართა მონაგარი იოანე პიტიახშის ძმის წული, სახელად ერქვა შატბერი. სარგის თმოგველმა სტუმრად მოსურნე შატბერს საამო ანჯიმი გაუმართა. მის პატივსაცემად თეთრი კურო დააკვლევინა და გაიცა ბრძანება, იყალთოს ჯანანურისა სმისა. ტრაპეზსა ისხდნენ ძმანი დევგმირნი კახეთისანი, დანი, სათნო, თვალადნი, ოზურგეთ-გურიისანი, თავადნი დადეშსვანეთისანი, ზრდილნი იმერნი, აზნაურნი ლეჩხუმ-რაჭისანი, ვაჟკაცნი აბჯარ ფშავ-ხევსურეთისანი, დიდებულნი ზუგდიდ-წალენჯიხისანი, ელჩნი პარაგვაისა და სასომხეთ-ჰაოს-ბიზანტიისანი, დიაცნი მოზამბეკისა და მამაცნი ქართლისანი.

შეიქმნა სმანი ჩაფითა, სათლითა, კოქობითა, თუნგ-ჭინჭილითა, რქითა ჯიხვითა.

შატბერ, არწყმულ კვეს აბედითა, შერწყმულ იქმნ ოპიუმის ქაჩვითა და ანაშათა ბოლვითა. რა შეტყო აქ ამბავი სარგის თმოგველმან, რისხვითა თავს ასტამი სცა ნასხურ შატბერსა, რომელიცა განდევნილ იქმნა ტრაპეზიდან კუკუკვრითა და გაიცა ბრძანება, აქა ყოველთა შეგოჭილ იქმნას კონტრაბანდქმნილ



ტვინთხრამლიანი სოვდაგარი ათაბეგ ნაზმან ჯამბუზ ყეინ-ოღლი. მიტმასნილ მიზმანისასა ვაი დედასა მისსასა! ხოლო ყმაწვილნი, მწეველნი ანაშისა, გონებითა მოჩლუნგო ამყოლნი ცუდთა ზნეთ ყოველთა, გაჯორილ იქმნ და გაროზგილ ხორშაგ საჯდომზედა, პირ კუპრცხებითა. და მერე იწყეს რა ქეიფი ფსალმუნითა და ებანითა, შარაპმა მანავისათა მწუანითა, თამადად იქმნ უხუცესთა ჟამთა მოციქული ათანასე იყალთოელი, რომელმან სიტყუაი წარმოთქუა და ჯამაათთ ესრედ მოულოცა წელი ახალი:

ახალ წელსა მოგილოცავთ
სახელითა მამისათა,
მანავისა მწვანისათა,
ხიზილალა შავისათა,
პურმარილი — ხვავისათა,
მონაგართა მრავლისათა!

თქვენ გენაცვალეთ, ქართველებო! გილოცავთ ახალ წელს!“

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

— ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲔᲑᲡ ᲕᲣᲠᲘᲒᲔᲑᲓᲘ ᲛᲝᲒᲘᲜᲐᲓᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲥᲣᲠᲥᲘ ᲒᲐᲛᲮᲐᲓᲔᲡ, ᲒᲐᲗᲑᲝᲒᲐ ᲐᲠᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡᲝ!

— ᲫᲛᲣᲠᲐᲓ ᲒᲗᲮᲝᲕ, ᲗᲣ ᲨᲐᲥᲠᲘᲐᲜᲘ ᲦᲕᲘᲜᲝᲐ, ᲐᲠ ᲓᲐᲛᲐᲚᲔᲕᲘᲜᲝ, ᲐᲛ ᲐᲮᲐᲚ ᲬᲔᲚᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲐᲬᲧᲔᲕᲚᲘᲜᲝ!

— ᲐᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲔᲜᲓᲝ, ᲨᲕᲘᲚᲝ! ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲐᲪ ᲓᲐᲛᲞᲘᲠᲓᲐ, ᲒᲔᲒᲛᲐᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲮᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲜᲫᲠᲔᲕᲘᲐ!

1970

ეროვნული ბიბლიოთეკა

	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ორშაბათი	5 12 19 26	2 9 16 23	2 9 16 23 30	6 13 20 27	4 11 18 25	1 8 15 22 29	6 13 20 27	3 10 17 24 31	7 14 21 28	5 12 18 26	2 9 16 23 30	7 14 21 28
სამშაბათი	6 13 20 27	3 10 17 24	3 10 17 24 31	7 14 21 28	5 12 19 26	2 9 16 23 30	7 14 21 28	4 11 18 25	1 8 15 22 29	6 13 20 27	3 10 17 24	1 8 15 22 29
ოთხშაბათი	7 14 21 28	4 11 18 25	4 11 18 25	1 8 15 22 29	6 13 20 27	3 10 17 24	1 8 15 22 29	5 12 19 26	2 9 16 23 30	7 14 21 28	4 11 18 25	2 9 16 23 30
ხუთშაბათი	1 8 15 22 29	5 12 19 26	5 12 19 26	2 9 16 23 30	7 14 21 28	4 11 18 25	2 9 16 23 30	6 13 20 27	3 10 17 24	1 8 15 22 29	5 12 19 26	3 10 17 24 31
პარასკევი	2 9 16 23 30	6 13 20 27	6 13 20 27	3 10 17 24	1 8 15 22 29	5 12 19 26	3 10 17 24 31	7 14 21 28	4 11 18 25	2 9 16 23 30	6 13 20 27	4 11 18 25
შაბათი	3 10 17 24 31	7 14 21 28	7 14 21 28	4 11 18 25	2 9 16 23 30	6 13 20 27	4 11 18 25	1 8 15 22 29	5 12 19 26	3 10 17 24 31	7 14 21 28	5 12 19 26
კვირა	4 11 18 25	1 8 15 22	1 8 15 22 29	5 12 19 26	3 10 17 24 31	7 14 21 28	5 12 19 26	2 9 16 23 30	6 13 20 27	4 11 18 25	1 8 15 22 29	6 13 20 27

სანამ მზის ირგვლივ თორმეტ თვეს ბრუნავდა ჩვენი პლანეტა,
მამია მალაზონია თქვენ გისტატვდთ კალენდარს.
ამ დიდი ენწოთ ასალ წელს გიკანონებთ და გილოცავთ,
(ნატურალური ვერ ვპოვეთ... ნილოსგარეულ ლვინის ეხვამ).

გქონოდეთ ბედნიერებით, ჭრიმით და გარჯით გამთბარი—
გაზაფხული და ზაფხული, ემოდგომა და ზამთარი!..
ქართული მაწა გიგიათ, ქართული ხეცა გახურავთ,
მტრისა და მოყვრის კარჩევა გეცოდნოდეთ მამაპაპურად!

ჩაფლულიეავეთ დოვლათში კისრამდე, ანუ ეელამდე...
და ხალრთვეელის დიდებას წეურდეს კალენდრის ეველა დღე!
მარგანეეი და ფოლადა, ჩაი და ქვანსხმირია—
ხელ თავზე ეამოვლებოდეს ოკახებს მრავალეშეილიანს!

ლედანზე იზრუნეთ, შვილები ზარდეთ ერისთვის!
ბრწეინავდეს თქვენი წარსული, თქვენი აწ�e და მერმისი!
ტკბილად იცხოვრეთ, დაბერდით, კამრავლდით, დაკენიანდით!..
თქვენი გულისთვის, იცოდეთ, თავსაც მოგეკლავ...

ნიანგი.



— რა ღირს ეს გოჭი?
— გოჭია ეს, შე დალოცვილო? სამ წელიწადს ვზრდიდი! შენ თუ შტანგისტი ხარ, მე რას მერჩი?!

ნახ. გ. ფირცხალავასი

— ოღონდ თქვენ მეწვიეთ, დომენტიჩ, ახალ წელს და, ლოგიო რომ ლოგიოა, იმასაც კი გავაჩენ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგის საახალწლო სამზარეულო

ნიანგი გთავაზობთ ახალ საფირმო ექსტრაელეგანტურ კერძს — „საკალანდო სალაღობო“.

აღნიშნული კერძი ქართველ და უცხოელ მზარეულთა ხელკაზმულობის ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ. ეს კერძი შედარებით შრომატევადია: მზარეულთა ბრიგადა სულ 3 სულისაგან შედგება.

დამზადების წესი:

ოჯახის წევრთა შემადგენლობიდან სამი გაცილებით ახალგაზრდა და ჯანიანი წამოხტება დილის ექვს საათზე. ერთი მათგანი შინაური საქმეებით იტვირთება. ორი კი სიცილ-კისკისით იღებს ხელში ხელჩანთას და პროდუქტების შესაძენად მიდის. ერთი, შედარებით მომთმენი რძის რიგში დგება. მეორე, შედარებით ჯანიანი, გოჭის საყიდლად გარბის. აქ აჩქარება, ნერვიულობა, ან რაიმე გაუთვალისწინებელი წინდაუხედაობა საკმაო გავლენას ახდენს კერძის როგორც გემოვნებაზე, ასევე მის ესთეტიკურ სახეზე.

საჭირო მასალა:

გოჭი მეგრული — 40-45 მან.
რძე — 2 ლიტრი
არაჟანი — 1 ქილა
ლიმონი — 3 მან.
ნიგოზი — 12 მან.
კვერცხი — 2 მან. და 40 კაპ.
ხახვი — 1 მან.
ნედლი კიტრი — 10 მან.
ახალი პამიდორი — 12 მან.
პრასი — 6 მან.
ატრია Лапша — 50 გრ.
პირშუშხა хрен — ერთი სუფრის კოვზი.
მარილი — გემოვნების მიხედვით.

ორზურგ ეთელი

როგორ გავაგზავნოთ საახალწლო დეპეშები

(კონსულტაცია)

ახალ წელს ბევრი კარგი ტრადიცია აქვს: ასე მაგალითად: პირველი ვინც გადააბიჯებს ოჯახის ზღურბლს, ის არის იმ ოჯახის მეკვლე. ან ნაცნობები ერთმანეთს რომ შეხვდებიან, აუცილებელია გაცვალონ ტკბილეული. იყო კიდევ ერთი შესანიშნავი ტრადიცია: ტელეფონის საშუალებით ნაცნობ-მეგობრები ერთმანეთს ულოცავდნენ, მაგრამ ამჟამად ამის საშუალებას ტელეფონი არ იძლევა. არის კიდევ ერთი ტრადიცია — მილოცვები დეპეშებით.

ორიოდე სიტყვამ და ისიც დაშტამპულმა, ძნელია იმ კეთილი და გულწრფელი სურვილების გამოხატვა შეძლოს, რომლებსაც თქვენ უსურვებთ ახლობლებს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ ორი სიტყვის ბაზაზე შევქმნათ გულთბილი და ბევრისმთქმელი ტექსტი. მოვიყვანთ ერთ მათგანს: გასულ ახალ წელს ერთ-ერთ რაიონში მთიბავების ბრიგადამ მიიღო ასეთი დეპეშა: **„გისურვებთ მრავალ ახალ ცელს“**. თითქოს აქაც ტრაფარეტია, მაგრამ იმის წყალობით რომ ჩვენში დეპეშებისათვის ქართული შრიფტი ჯერ კიდევ არ არის, მილოცვა ორაზროვანი და მიზანდასახული გამოდგა: ერთი სიტყვით, ბრიგადას ახალ წელსაც ულოცავდნენ და უსურვებდნენ ახალი სასოფლო-სამეურნეო იარაღების მიღებასაც.

ასე რომ, საჭიროა დეპეშის გაგზავნის დროს გავითვალისწინოთ ერთი მომენტი: ვის ეგზავნება დეპეშა, რა პროფესიისაა იგი, ან რა მისწრაფებები აქვს მას. იმისათვის, რომ თქვენ უკეთესად აიღოთ ორიენტაცია, თუ როგორ გაკეთდეს ყოველივე ეს, გთავაზობთ ასეთი დეპეშების რამდენიმე ნიმუშს.

თეატრისმოყვარულებს: **მრავალს დაესწარით!**

სასწრაფო დახმარებისმუშაკებს: **მრავალს მიუსწარით!**

დაუსწრებლის სტუდენტებს: **ხანდახან დაესწარით!**

სპორტსმენებს: **მრავალს გაუსწარით!**

მილიციის მუშაკებს: **მრავალს წაასწარით!**

მოქალაქენო! დეპეშებით მიულოცეთ ახალი წელი თქვენს ახლობლებს! ოცდაათ კაპიკად თქვენ შეგიძლიათ მოიგოთ... გული!

კონსულ ტაცია

კალეიდოსკოპი

● ძალიან მაღლა ნუ აფრინდები, თორემ ვერ შეგნიშნავენ!

● ჩვენს დროში გილიოტინა შეცვალა... ტელეფონმა.

● ნამდვილი მტერი... არასოდეს არ მიგატოვებს.

● სჯობს ერთხელ მოისმინო, ვიდრე ასჯერ ნახო... ტელევიზორში.

● კარიერიზმთან ბრძოლაში შეიძლება მიაღწიო... კარიერას.

● დიადი საქმიდან სასაცილომდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია, ამიტომ დროზე უნდა შეჩერდე!

● თუ მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი, მაშინ ის საიდან ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი?

● სინოპტიკოსები წინასწარმეტყველებენ ამინდს. მას კი სულ სხვა ადამიანები ჰქმნიან.

● მატლს ჰგონია, ვაშლის ტყვე ვარო.

● კარგი ის წიგნია, რომელიც ამდიდრებს არა მარტო მის ავტორს, არამედ... მკითხველსაც.

● ძალიან ცუდი წიგნიც ისევე გამახსოვრდება, როგორც ძალიან კარგი წიგნი.

— გამძურდეს ამ ცოტა ხნის წინათ...
— მთელი სულითა და გულით გითანაგრძნობთ!
— ოღონდ მარტო ჩემი ლექსების წაღება მოასწრეს.
— მაშინ მთელი სულითა და გულით ვუთანაგრძნობ ქურდებს!

* * *

ფაბრიკა „ჩიბუხი“ სერიულად უშვებს საფერფლეებს წარწერით: „ჩვენთან არ ეწევიან!“

* * *

— მე გაგაცილებთ, რადგან მარტო დარჩენისა მეშინია!

* * *

რანაირი ასორტიმენტის ძვირფას საქონელს არ ნახავთ უნივერმაღში — „ყველაფერი მყიდველებისათვის“: მზატანსაცმლის განყოფილების გამყიდველებს აცვიათ შესანიშნავი სამოცდათოთხმეტმანეთიანი კოსტუმები; იაფფასიან იმპორტულ ფეხსაცმელს ატარებენ ფეხსაცმლის სექციის თანამშრომლები; ალტაცებას იწვევს საწყობის გამგის ბაილონის ჯემპრი, ბუღალტრის ბეწვის ქურქი, დირექტორის მაკინტოში, დარაჯის ქუდი, სექციების გამგეთა „პლაშჩები“... ხოლო მოდის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით შეკერილი პალტოს ნახვა შეგიძლიათ მხოლოდ დღის ბოლოს, როცა საქონელმცოდნეს შინ წასაყვანად მოაკითხავს ხოლმე ქმარი.

* * *

ერთი წლის წინათ ჟურნალისტმა ავტოკალამაძემ, რედაქციის დავალებით, მუშაობა დაიწყო ტაქსის მძღოლად და მტკიცედ გადაწყვიტა აღარ დაბრუნდეს თავის ძველ ადგილზე.

* * *

ერთხელ ნიუტონი ლონდონის ერთ-ერთ ბაღში იჯდა. უცებ მას თავზე „ანტონოვკას“ ჯიშის დიდი ვაშლი დაეცა. დიდმა მეცნიერმა ასეთივე დიდი სიამოვნებით შეჭამა იგი.

* * *

— რა შემიძლია მე, კომპოზიტორმა, გიძღვნათ, თქვენ, ჩემს ძვირფას მსმენელებს?
— როიალი? — დაუძახეს მას დარბაზიდან.

* * *

ერთხელ ბერნარდ შოუს ჰკითხეს, ბეიკერ-სტრიტზე როგორ უნდა გავიდეთო?
— ჯერ პირდაპირ წადით, მერე მარჯვნივ შეუხვიეთ! — უპასუხა გენიოსმა მწერალმა.

* * *

მეკარე თავგანწირულად ჩაუვარდა ფეხებში თავდამსხმელს და შეევედრა, ოღონდ არ დამირტყა და, რაც გინდა, მთხოვეთ!

* * *

ზინმისულმა მთვრალმა მძლეოსანმა პირველსავე ცდაზე ტყორცნა... ცოლი 3 მეტრსა და... 33 სანტიმეტრზე.

* * *

ყველა ყვირის: „სუდიას პოლიას!“ მაგრამ რატომღაც მოთამაშეს აძევებენ.

* * *

მთელ სეზონში მეკარე გოლიაძეს არც ერთი ბურთი არ გაუშვია, რადგან სულ სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

ნახ. ზ. ფორჩხიძისა

ახალი ფელი მეჭრთამის ოჯახში.

— მეკვლე ვარ!
— ფული თუ მოგაქვს?
— ფული არა, მომაქვს ჩურჩხელები, გოზინაყი!..
— აგერ, გვერდზე, საბავშვო გაღია და ტკბილეული იქ მიიტანე!

კაცი და ადგილი

სხვაზე პასუხს არ აგებს,
ბედმა ასე არგუნა, —
„ქინძკამატრესტს“ განაგებს
ინოკენტე გაგუა.
ნაცნობს როგორ ერიდოს,
და თუ ინო კია შინ,
ეხარჯება მთელი დრო
ტელეფონის წკრიალში.
— ინოკენტე ბიკენტიჩ,
შენთვის კია ადგილი,
მომიძებნე იქ ერთი
სარფიანი ადგილი!
— უბრალო მაქვს წადილ
საყვარელო ბიკენტიჩ...
გახსოვს ჩვენი სადილი,
შიგ რომ თითებს იკვნეტდი?..
ბენო რეკავს ფიფია,
გულის კარი იღება.
— ჩემთან ერთი ტიპია,
საწყობში სურს მიღება.
— დასტი მითქვამს, ბიკენტიჩ.
ბენო არა, გოგი ვარ,
რასაც წინათ იღებდი.
ორჯერ მეტი მოგივა...
და ფუსფუსებს ინიკო,
ცხვირით დადის სიებში:
— ამ ადგილზე ვინ იყო?
— ეს გაიქცა კიევში.
ოფლში ცურავს მმართველი,
არც აყოვნებს, არც იცდის,
საქმის კაცი ქართველი
ადგილს ეძებს კაცისთვის.
ჯობდა, პატივს ვერ სცემდეს
ნაცნობის ხელს, გამოწვდილს. —
ადგილისთვის ეძებდეს
კაცს ღირსსა და გამოცდილს!

გ. ივანიშვილი

ნახ. ვ. ბუმბურიძისა

— გახსოვდეს, შვილო, ესენი რომ გამოჩნდ
ბიან ტყეში, ესე იგი ახალი ფელი დგება.

მთავარი
რედაქტორი
ნოდარ დუმბაძე

სარედაქციო
კოლეგია:
ზ. ბოლქვაძე
(პ/მგ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მალაზონია,
გ. ნიშნიანიძე,
(მთავ. რედ.
მოადგილე),
ნ. შველიძე,
ო. ჭელიძე.

სატირისა და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის
პროსპექტი № 42.
Тбилиси, Сатирико-
юмористический
журнал «Ниа
ტელ. რედაქტორის
99-76-69, რედ. მოადგილის
93-49-32.
საერთო განყოფილების
93-10-78.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემ-
ლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ.

გადაეცა ასაწყობად
25/XI-69.
ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 23/XII-69 წ.
ქაღალდის ზომა
70×108 1/8.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურ-
ცელი 1,
პირობითი ნაბეჭდი ფურ-
ცელი 1,4.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემ-
ლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ.
№ 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА
ЦК КП ГРУЗИИ
ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИ-
НА № 14
შეკვ. № 3484.
УЭ № 02477.
ტირაჟი 109.000.

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

ИНДЕКС 76137

10-4
22
1969

1970

ნახ. ვ. ლომაძისა